

# ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეში „საშუალოს მოამბის“ დამატება  
№2, 25 თებერვალი, ორშაბათი, 2019 წელი

## მთანმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი

საქართველოში მოწინებთა და რიდით მოიხსენიებენ ამ საოცარ ადგილს – „მთანმინდის“ პანთეონს, რომელიც ოდიტგან ჩვენს გამოჩენილ მამულიშვილთა სავანედ ქცეულა. მაღლიერმა შთამომავლობამ საზოგადო მოღვაწეთა და მწერალთა სამუდამო განსასვენებელ ალაგად სწორედ ეს წმინდა ადგილი შეარჩია, რომელსაც დაარსების მეტად საგულისხმო წინაისტორია გააჩნია:

547 წელს, ღრმადმორწმუნე ფარსმან VI-ს მეფობის პერიოდში, ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით, ივერიაში ჩამოსულა 13 ასურელი მამა, მათ შორის მამა დავითი. ის გახლდათ მონაფე წმინდა იოანე ასურელისა – წმინდა მამისა, მრავალი სასწაულისა და კეთილი საქმის მქნელისა, რომელიც ბერად აღკვეცილი, უდაბნოში განმარტოებით მოღვაწეობდა.

ერთხელ წმინდა იოანეს გამოეცხადა თურმე მარიამ ღვთისმშობელი და აუწყა ნება უზენაესი – შეერჩია თავისი მონაფეებიდან თორმეტი საუკეთესო ბერი და მათთან ერთად გამგზავრებულიყო ივერიაში, საქადაგებლად.

წმინდა იოანემ მოიხმო თავისი მონაფეები, აუწყა მათ ღვთისმშობლის გამოცხადების შესახებ, შეარჩია 12 მონაფე – შიო, ანტონი, ისე, დავითი, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, პიროსი, მიქაელი, აბიბო, ზენონი – და მათთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში, სადაც, იმ დროისათვის, მეფობდა ფარსმან VI და კათოლიკოსი გახლდათ ევლავი, რომლის ლოცვა-კურთხევითაც დაიწყეს მოღვაწეობა წმინდა მამებმა. საქადაგებელი ალაგი, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველო იყო. წმინდანებს სწორედ ამ სამოღვაწეო ადგილის მიხედვით ეწოდათ სახელებიც: შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, ანტონ მარტყოფელი, აბიბო ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, სტეფანე ხირსელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, ისე წილკნელი, პირის ბრეთელი.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერ-ისტორიკოსების, მათ შორის, კორნელი კეკელიძისა და მოსე ჯანაშვილის აზრით, ასურელი მამები ჩვენი სისხლი და ხორცი – ლაზები იყვნენ.

მამა დავითი თბილისში მოღვაწეობდა – მთის ფერდობზე მდებარე გამოქვაბულში ედო ბინა და იქიდან ეწეოდა საღვთო საქმეებს. იგი ყოველ კვირა დღეს ჩამოდიოდა ქალაქში და ქრისტეს სარწმუნოებას ქადაგებდა. ხალხმა ირწმუნა წმინდა მამის და მისი რწმენით მრავალი ცეცხლთაყვანისმცემელი ქრისტეს სჯულზე მოექცა. ამან ძალიან ალაშფოთა სპარსელი მოგვები და მუხანათური გზით მისი მოშორება განიზრახეს.

სპარს მოგვთა შორის იყვნენ ძმები ხოსრო და სოსია. მოგვებმა დაამუნათეს ხოსროს შვილი – მუსა, რომელსაც უყვარდა ქრისტეს რჯულზე მოქცეული ქალი – მარიამი და შეცდენით დააორსულებინეს. შემდეგ დააშინეს მარიამი – სიმაართლე დაეფარა და ყველაფერი წმინდა მამისთვის დაებრალეზინა. მოგვებმა მამა დავითის მრევლში ხმა გაავრცელეს, რომ ეს უხამსობა თავად მოძღვარმა ჩაიდინა, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. ბოროტებით თვალდაბინდულმა ბრბომ მამა დავითის ჩაქოლვა გადაწყვიტა.

სამსჯავრო დღევანდელი ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულა. ფეხშიშველი გამოცხადებულა წმინდა მამა ხალხის წინაშე და მიუმართავს:

„ძმანო, დანო და შვილნო ჩემნო, თვით ღმერთია მონამე, არანაირი ავი ბრალი ამ საქმესა შიგან არა მიმიძღვის. ვუწყი, რომ დამნაშავე არა ვარ და უკეთუ ბრალდებულნი ჩემნი მართალნი არიან, თვით

უფალი დაგვანახებს ამას“ – თქვა ეს, მიეახლა ფეხშიშვე მარიამს და ჰკითხა:

„დედაკაცო, რა მრუმობა ჩავიდინე შენთან?“ შეშინებულმა ქალმა უპასუხა: „შენგან ვარ ესე“. რადგან სხვა გზა და საშუალება ჭეშმარიტების დადგენისა, გარდა უფლის ძალისხმევისა, არ დარჩა დავითს, დახმარებისთვის მაცხოვარს მიმართა. თავჯვრიანი კვერთხი შეახო მარიამს მუცელზე და თქვა ხმამაღლა: „შენ, შვილო, გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, თუ ვინ არის მამაშენი?“

თითქოს მუცელმა ამოიდგა ენაო, ჩვილმა იქ მყოფთ ხმამაღლა აუწყა: „ჩემი მამა მუსაა“.

აგონიაში ჩავარდნილმა ქალმა ყველას თვალწინ ქვა შვა. გაცეცხლდა და შემოფოთებულმა ხალხმა, მამა დავითის შეგონების მიუხედავად, მარიამი ჩაქოლა.

ამ ადგილზე, სადაც ეს სასწაული მოხდა, უფლის სადიდებლად ეკლესია აშენდა. საძირკველს „შობილი ქვაც“ ჩაატანეს და ტაძარს „ქვაშვა“ ანუ ქვაშვეთი უწოდეს.

ამის შემდგომ, როგორც მემატიაწე იუწყება, მამა დავითმა, თავის ერთგულ მონაფესთან – ლუკიანესთან ერთად, მოღვაწეობა განაგრძო გარეჯის უდაბნოში, სადაც საფუძველი დაუდო გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობას, რომელსაც მის საპატივცემულოდ დავით გარეჯა ეწოდა. დიდმონაქმე დავითი გარდაიცვალა 582 წელს. დაკრძალულია იქვე, დავით გარეჯას სამონასტრო კომპლექსში.

არსებობს თქმულება, რომ მამა დავითის გარეჯში წასვლამდე, იმ გამოქვაბულში, სადაც იგი იდგა, წმინდა წყარო გადმოსულა, რომელიც გამხდარა საფუძველი ამ ადგილისათვის „წმინდა“ ეწოდებინათ. შესაბამისად, აქედან გაჩნდა სახელწოდებებიც: „წმინდა წყარო“, „წმინდა მთა“, იგივე „მთანმინდა“. მას შემდეგ მიდიოდა იქ ხალხი, ლოცულობდა და უფალთან ერთად, შეწვევისთვის, მამა დავითს მიმართავდა.

მოგვიანებით, ქალწული ანა, სანამ მონაზვნად აღიკვეცივებოდა, მთანმინდაზე ადიოდა და მამა დავითის გამოქვაბულში ლოცულობდა. ერთხელ მას წმინდა მამა გამოეცხადა და აუწყა:

„მაღლობელი ვარ, შვილო ჩემო, რომ ხალხს არ ავიწყებ ჩემს სახელს და მუდმივად ლოცვაში ხარ.“

შემდგომ მიაწინა ადგილი, სადაც იპოვიდა ცვილის ნაჭრებს, რომელსაც მღვდელს მიჰყიდდა და აღებული ფულით მთანმინდამდე მისასვლელ ბილიკს გაანმენდინებდა. ამ საოცარი ამბის შეტყობის შემდეგ, თითქმის მთელი თბილისის მოსახლეობა შეიკრიბა, ფული შეაგროვეს, გზაც განმინდეს და მამა დავითის სახელობის ეკლესიის აშენებასაც ჩაუყარეს საფუძველი. 5 წლის მანძილზე შენდებოდა ეკლესია და იგი ერთ-ერთი მოქმედი ტაძარი გახდა.

დღევანდლამდე მრავალი ცვლილება განიცადა, როგორც ტაძარმა, ისე მიმდებარე გარემომ და ტაძრამდე მისასვლელმა გზა-ბილიკებმა.

პანთეონი, როგორც საზოგადო მოღვაწეთა სამუდამო განსასვენებელი ადგილი, XIX საუკუნის დასაწყისიდან მოიხსენიება. პირველად, 1829 წელს, მთანმინდაზე, ნინო ჭავჭავაძის მოთხოვნით, ალექსანდრე გრიბოედოვი დაიკრძალა, რისთვისაც პოეტის მეუღლემ სოლიდური თანხა გადაიხადა. ხოლო 1892 წ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოთქვა სურვილი, მთანმინდა გამორჩეული ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების სამუდამო განსასვენებელ ალაგად ქცეულიყო.

# ღ ე ბ ი უ ც ა



**დავით ლომიძე** დაიბადა 1993 წლის 27 თებერვალს, ქ. ხაშურში. ლექსებს ბავშვობიდან წერს. „ვწერ იმას, რასაც ხმამაღლა ვერ ან არ გამოვხატავ. მნამს უფლის და მჯერა, ივერია გაბრწყინდება.“ – ჯერაც საკუთარი ხელწერის მაძიებელი ახალგაზრდა კაცის გულწრფელი სულის ღაღადისი გულგრილს ვერ დატოვებს მკითხველს. ვულოცავთ დავითს დაბადების დღეს. დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს მისი პოეტური დებიუტი ხაშურის ფართო მკითხველის წინაშე.

\* \* \*

როს სული ეშმაკს გადავულოჯეთ,  
და ხორციერ, უკვე, იხრწნება წელა,  
ზოგისთვის, თითქოს, არაფერია,  
ვისთვის კი, გულში, დღითიდღე ზნელა.  
აღარ ამშვენებს ქართველს მანდილი,  
აღარ ივსება გრძნობით ფიალა!  
ასე, მამული, სარწმუნოება,  
ჩვენივე ხელით იქრა ციალადა!  
გადაეფარა სამყაროს თაღი  
და დედამინამ ივსალა მხარი,  
რას დაემსგავსა ადამის მოდგმა? –  
როს დაიხურა სამოთხის კარი!  
კვალ-არეული სული მაშინებს,  
გამოფიტული ხორცი და ლეში,  
ჩამოძინილი როდვების გროვა  
და მიჩქმალული ფარულად, ზნელში.  
ადამიანი! – სახელიერ მზარავს,  
მზარავს კართაგან ზოროტი ზრახვა:  
ოჯდაათ ვერწხლად კვლავ იყიდები!  
ადამის მოდგმავ, სადამდე დახვალ?!  
რაჭომ ივსალე პირველი სახე?  
რას დაემსგავსე, ადამიანი?  
ქრისტეს ნამების ნამიდან, დღემდე,  
შენი ნიღაზი ისევ ხმიანობს...  
კვალ-არეული სული მაშინებს,  
სიმრავლე სჭარბობს კვლავ იუდეზის...  
შენ, ღმერთზე მეტად, ეშმაკს ერთგულომ  
და სამოთხეში ვლარ ზრუნდები!

\* \* \*

ვიდრე დამასწრებს სხვა შენს სიყვარულს,  
სანამ ოჯნებას ხატავს მანისი,  
მინდა, სამყარო შემოგატარო  
და დაგიბრუნო ძველი ხალისი.  
ვიდრე მზის სხივი წაზე ანთია,  
ამ სიყვარულის მინდა, გჯეროდეს.  
მინდა, გვირილა თმაში ჩავინნა,  
ყაყაჩოსფერი კაბა გშვენოდეს.  
ველური ვარდის ვადარებ სურნელს  
ჩემს დამათრობელ მავ სურნელეზას,  
ყოჩივარდის და იის სინაზე  
უფალს, გულუხვად, შენთვის ენება...  
მსურს, გავიფანტო ავდარი დარით,  
მინდა, მანისის სურნელი იგრძნო,  
უშენოდ, უტყვი, მდუმარე არის, –  
შენ დამიმშვიდო, ეს გული, ვინძლო...

\* \* \*

შემოესია მუხას ყორანი,  
ჯერ რკო დაჯიჯგნა, მერე ფოთოლი!  
და, ახლა, ფესვებს აშორებს მინას,  
სურს, დაგვიტოვოს ნერგი ობოლი.  
და სისხლის ზოლო წვეთამდე იბრძვის,  
ვით განწირული ლომი ღრიალემს.  
თუმცა, საშველად არავინ ინევს,  
ზერმუხა ძლივსლა სუნთქავს, შრიალემს.  
ჩამომტვირთეს მუხას ცოტეში,  
თვალწერმლიანმა მზემარ იგლოვა,  
მთვარემ სევდისგან სული დალია  
და შებრალება უხმოფ ითხოვა.  
გარს შემოარტყეს მიძიე ჭაჭვენი  
და, ქრისტესავით, მათრახით სწემენ!..  
მუხა ზებერი საქართველოა,  
მტრებს არ ანახვებს სისხლისფერ წრემლემს...  
არ გატყდუ, მუხავ, ნუ დაეწეში,  
ოდეს იყავი დაუთმობელი.  
შენთან არს შენთვის ჭვარწმული ღმერთი,  
კალოთას გაფარემს, კვლავ, ღვთისმშობელი...

\* \* \*

წოდვის ფიქრები დამანვა სევდად,  
სევდამ აქრია ლექსად მელანი...  
უფალო, გზები არა ჩანს, ზედად,  
წხვრის ფარას ვგავართ, ახლა, ყველანი.  
ეშმა შეყუვა როდვების ბექობს,  
უსამართლობის განწდა გამეფდა!  
გაბოროტებულ ჩვენსავე ექოს  
უკან ვიბრუნებთ, როდვის კარებთან.  
ავრდით, უფალო, ბილიკებს შენსას,  
შენს მიღმა ვეძებთ, სავალ გზას, ახალს...  
და, უნებლიე შეწდომით შემწდარს,  
შეუბრალებლად ჩავასობთ ღახვარს!  
ჩვენ დაფიქრება სხვაგვარი გვძართემს,  
რომ, მხოლოდ უფლის აღსრულოდეს ნება...  
სხვაგვარად, ერის ხსნა არ იქნება,  
სჯომს, გავისხენოთ ჩვენ ათი მქნება!

## ნასახლარი

დადუმებულა ძველებური,  
კედლის საათი,  
ლაქებად, მტვერიერ მოსდებია  
კედელზე სურათს.  
რა სიჩუმეა, ამ ძველ სახლოში,  
რა სიჩუმეა...  
თუ რამე სუნთქავს,  
საკითხავი ეს არის, სულაერ...  
გამოქრეულან კედლებიდან  
ზავშვობის ნლოები,  
წყალმა ჩარეცხა მოგონება,  
ნაკადულივით...  
და სახურავსაერ ძლივსლა უძლებს  
ძველი კედლები  
თითქოს, უნდა, რომ შეინახოს  
საგანძურივით.  
ძველი ჭადარი, ჭერაერ წოწხლობს  
ორლობის ზოლოს,  
ზებერი თონერ, აღმათ, ისევ  
ელის ზებინას...  
ზაღში ხეხილსაერ გახმობია  
მხროვანი ფესვი,  
მხოლოდ ჭრიალით ჰყვება ქარი  
ამზავს, სევდიანს...

# პოეზია



**ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძე** – ხაშურელების რძალი, მრავალმხრივ გამორჩეული ქალბატონი ქ. დუშეთში დაიბადა. ლექსების წერა 46 წლის ასაკში დაიწყო. არის ოთხი პოეტური კრებულის ავტორი. მალე დღის სინათლეს იხილავს მისი ახალი წიგნი.

\* \* \*

რა არის, ნეტავ, გასაოჯარი,  
თუ ჩემი სული  
სივრცეებს ითხოვს?  
გულში რწმენის და  
იმედის სიკვდილს  
თუ მიჯობს, უნინ  
გული რომ მოკვდეს...  
რას, ამაში გასაოჯარი,  
თუ ყიამეთში  
მინდა ამინდი,  
თუ გაზაფხულის  
მომწონს ფერები  
და კვლავ დიდი  
მაქვს თვალსანთიერი...  
თუ ჩემი ლექსის,  
წრფელი სტრიქონით  
ათასი გულის  
მფლობელი გავხდი, –  
რას ამაში გასაოჯარი?  
ნელთა არჭახებ  
თუ ვუძღვებ თმენით,  
რადგან სიეროხლეს  
არა აქვს ფუძლი...  
თუ თვითონ ვიქმნი  
ლამაზ აისებს, –  
რას ამაში გასაოჯარი!..  
თუ მინდა, ვიყო  
სულგობელი ქალი,  
სიყვარულივით უბრუნებელი...  
მრავალი წლოების  
მასკარადობას  
ბევრჯერ გაუძლო  
უბელო სულმა  
და, ამიტომაც,  
ნუ გაგაკვირვებ  
ჩემი ლექსების  
მრავალწერტილი...  
და როცა ვარდის  
მანდილი მფარავს,  
მინდა, ჩავრახო  
ბაღნარის კარი,  
გავყუდო დიდ მიზნებს,  
განა რდუნებას,  
განა სხვა მინას, –  
ქართლის წხოვრებას...

\* \* \*

მე უნარსულო ანბყო არ ვიცი,  
არც ანბყო მინდა, მომავლის მიღმა.  
დრომ არ მაჭარა, დრომ მე მოვირგე,  
სხვამ შეაფასოს, რამდენად ღირდა.  
ზოგს შევეხიდე, ზოგს გავერიდე,  
ზოგს სიყვარულით ვასწავლე თმენა,  
თუმც არეულა სანუთროს გზები,  
იმ ერთადერთი სინათლის მჭერა.  
უჭვირთებელი ვიჭვირთე ბევრი,  
უფლის შენევიით, შევუხდე მრავალს,  
როცაღა დამრჩა სამყაროს ვალი,  
გადავიხდი და სიმშვიდით წავალ...

\* \* \*

დეკემბერი...  
ქრიზანთების ჩამქრალ თვალებს  
შევაგებე სველი თვალი  
სინანულის...  
დეკემბერი –  
დასასრული რაღაერის და,  
დასანყისი სხვა, ახალი  
სიყვარულის...  
დეკემბერი...  
ვუთანაგრძობ შიშველ ხეებს  
და, რატომღაც, მათი კვნესა  
მეჩემება...  
დეკემბერი,  
ნუგეშის და სინანულის...  
ვინ დროს უხმობს,  
ვინ – ნუთების შეჩერებას...

გული

რა სათუთია და მგრძობიარე  
და რა უზომო დატვირთვას იტევს...  
გული, თანდათან, ერევა ასაკს,  
ერევა ტკივილს, იშორებს იჭვებს.  
ანთია ღია ჭრილობის მსგავსად,  
აუალოებლად იწვის და დნება,  
დაღარულია რამდენი ჭრილით,  
ზოგჯერ, ხომ, ღამის, გააპო ელდამ.  
მოლაღატეო, – სწამებენ მაინც, –  
ესეც ერთგული გულის ბეღია...  
და, როცა ასეზის, შანთით დადალეს,  
გვიკვირს – ტკივილი გაუბეღია?!

წმინდაო ბარბარე!

მოხველ და ისეც მომიტანე  
რწმენა, სინათლე,  
წმინდანო, ასეზის შენი გზა და  
მადლი ვინაჭრე.  
მოხველ, მომეცე ხვალის  
დღე და ახლის სანყისი,  
როცა შენ მწყალობ, –  
შესაშური არ მაქვს არვისი.  
შენი ხელწერის კვლავ ღიაა  
სამი სარკმელი  
და წხოვრების გზას,  
ისეც, ასდის სუნი საკმეველის...  
მამა ერთია, ღვთისმშობელმა  
შვილად მივილო,  
მაგალითი ხარ, რწმენით  
ბევრი უნდა ვიჭვირთო...

\* \* \*

ზარს რეკენ!..  
ნეტავ, ვინ გასწემს პასუხს?  
მიდის თუ მოდის  
დრო, ასე სწრაფად?!  
არ შეგაშინოს,  
თუ მოგაყარა  
სველი ფოთლები  
აშარმა ქარმა.  
თაობებს მოძღვრავ,  
აწილებ გზაზე,  
სიყვარულის იმეი –  
თმაზე უმრავლესს,  
ჩარაზე კარი,  
დარეკე ზარი,  
ხარ ნუთისოფლის  
მარადი მგზავრი!

\* \* \*

საზღვრის გადაღმა  
რა ქვეყანა აღარ მიხილავს,  
რა მზე არ მწვავდა,  
რა ზღვამ აღარ  
მითხრა თავისი,  
მაგრამ ვერწერთმა,  
რა ვქნა, თავი  
ვერ შემაყვარა,  
ჩემი ქვარ მიყვარს,  
მსურვებია  
კოშკი არვისი!..  
აქეთ, წინაპრის  
საფლავიერ კი  
ჩემს დარდს ინახავს...  
მინას ჩემ წილად  
მომიხატავს  
ვიცი, მაისი,  
მზეს სხვა სითბო აქვს,  
რას სხვა ფერი,  
არ მეჩვენება,  
რომ წისკრის მსგავსად  
იხატება რაზე დაისი.

ხაზი – მისი ახდენილი ოცნებების ნაცაყუდარი!..



ნ  
ა  
ზ  
ი

აქ, ამ პატარა ქალაქში ჰპოვა აღმადგენა ნანი გაჩეჩილაძის შემოქმედებითა ნიჭმა. სიყვარულით განებივრებულმა, თვალხატულა გოგონამ მინდვრის ყვავილივით გზადაგზა კრიფა თავისი კუთხის მარგალიტები.

და ასე, წლების მანძილზე, ცნობის ფურცელივით ფრიალებდა ხაზურში ნანი გაჩეჩილაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამბავი: სამუსიკო სკოლის პედაგოგი; ფილოლოგი; ადგილობრივი გაზეთის შტატგარეშე კორესპონდენტი; საყმანვილო ტელესტუდია „დიადემა“-ს რეჟისორი და ტელენამყვანი; საავტორო გადაცემის „ქალბატონები და ბატონები“ რეჟისორი და წამყვანი; ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „გულმართალი ბიჭები“ სამხატვრო ხელმძღვანელი; რამდენიმე კრებულის, მათ შორის, საბავშვო ლექსების ავტორი; წლების მანძილზე, არაერთი, საკუთარი თუ სხვათა ღონისძიების წამყვანი და ორგანიზატორი. ქალბატონი ნანი, მთელი თავისი ცხოვრება, სინათლის მშთანთქავ სტიქიას ებრძოდა, ბედნიერებას ანიჭებდა ნებისმიერ ადამიანში ნიჭის აღმოჩენა, თანაუგრძობდა მას და თვალ-ყურს ადევნებდა, როგორ, რა კუთხით წარიმართებოდა მისი მომავალი.

უყურადღებოდ არავის დატოვებდა, როგორც შეეძლო, იმგვარად მიეშველებოდა. ჩემი სიმდიდრე ჩემი სამეგობროაო – ამ სიტყვებს ძალიან ხშირად იმეორებდა...

ნანი გაჩეჩილაძემ „დაიპყრო“ ხაზური!.. ხაზურმა შეიფერა ნანი გაჩეჩილაძე და, შესაბამისად, მას, ამ ქალაქში აღიარების სიმწირე არასდროს უგრძნია. 2016 წელს, ქალბატონ ნანი გაჩეჩილაძეს დამსახურებული ვარსკვლავი გაუხსნა მშობლიურმა ქალაქმა. ორი წლის შემდეგ კი, სულ ახლახან, სწორედ იმ ვარსკვლავთან გამოვემშვიდობეთ საყვარელ მეგობარს... ორმოცი დღე გასულა უფალთან მიახლებიდან!.. გვენატრები!..

ჩვენ ვხედავთ კოცონს, რომელზეც დრო იწვის... ვერანაირი ძალა ვერ შეაჩერებს ამ პროცესს, გარდა კვლავ შეხვედრის რწმენისა, ხსოვნისა და დაუსაბამო სიყვარულისა!..

მეგობრები: კლარა გელაშვილი, ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილი, მაყვალა ხაჩიძე, გივი გელაშვილი, შოთა დარბუაშვილი, რეზო კოშკაძე.

გაფრენილა სიყმანვილო

ღამითვალე ნაოჭები,  
ეს ხომ ჩემი წლებია,  
თვალში წერხლი თუ ჩამიქრა, –  
ღროის განაჩენია.  
თეთრ რაშქზე გადამსხდარან  
წლები, როგორც მხედრები,  
გარეგნობით არამიშავს,  
თუძრა, ვგრძნობ, რომ ვბერდები...  
გულიანად ვლარ ვმღერი,  
ხმაში გზარი გამიჩნდა,  
როგორ გაქრა სიყმანვილო,  
წლები როგორ გაფრინდა?!  
რა მახარებს? – ჩემი გიგას  
თუნდა, წამით დანახვა,  
მის გულისთვის გადავიტან  
თუნდა, გულის დაღახვრას.  
ჩემს ხატულა შვილიშვილებს  
ღმერთო, მიერ სიკეთე,  
მათი თანამგზავრი იყოს  
სიყვარული, სიქველე!

ნანი გაჩეჩილაძე

როლს ვერ გინონებო...

(ნანი გაჩეჩილაძის ხსოვნას)

გული, რომელიც სევდით დაღარე,  
გულით, რომელიც ასე მეტყინა,  
ვფურცლე, ვარჩევდი, შენი რხოვრების,  
რა უფრო მკვეთრად წარმოიქმინა.  
იქნებ წუთები შენი დეფობის,  
ულალაყო და სავსე, ესოდენ...  
იქნებ სიმღერა, რომელმარ გშვა და,  
დავსვა იქ, სადაც სულნი მეფორბენ.  
იქნებ გონება, ან იქნებ ნიჭი,  
ყველა სფეროში თავს რომ იჩენდა,  
იქნებ სიტყვები, ქარტეხილებს რომ  
სიყვარულისებრ, ფერხით იფენდა.  
ან იქნებ სრენა, შენი სავანე,  
შენი სამოთხე, შენი სამყარო,  
როლს ვერ გინონებო!.. და ამის ნიშნად,  
ყვავილი დაზღა უნდა დავყაროთ!  
იქნებ ლექსები, სადაც სიყვარულის  
ხმამაღლა გვსვრიდი ღია სარკმლიდან,  
ან სინანული, რარ, ამის შემდეგ,  
უნდა დახატოს შენმა აპრილმა,  
ან იქნებ რემელი, სამშობლოს მკერდზე  
დარეშულ ზიჯებს რითერ ნამავდი,  
აფხაზეთის და მახაზლის მინას  
ფენის სუნისგან ვერ იფარავდი!  
ემიგრანტების თემა გტკიოდა,  
როგორც ქართული აპოკალიფსი,  
გზააზნეული ფიქრების მიღმა,  
იმედი გქონდა, მაინც, ხვალისი.  
ან იქნებ ტკბობა სხვისი ნიჭით და  
წარმოჩინების დიდი უნარი,  
პომეროსივით იქერ მაქებრად,  
მაღლიერების ზღვაში მწყურავი,  
ვით რეზიუმე, განვლილი რხოვრების,  
შენი ვარსკვლავი ისე ანთია  
და შენი ხსოვნის ღამაში სკივრი,  
როიალივით რჩება თავლია!  
ბოლო ფილა აივსო რემელით,  
ნებით უფლისა, როგორც იტყვიან,  
ეს განშორება აღვიქვი, როგორც  
შენი რხოვრების ბოლო სტიქია...

კლარა გელაშვილი

